ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7801774

ნომერი: AR11125264

თარიღი : 16.01.2026

გაცემის თარიღი : 10.02.2026

გაცნობის თარიღი : 12.02.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ლეო კვაჭაძის ქუჩა, N 19დ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვერიკო ბაბუციძე პ/ნ 59004005792
- გორი ს. აჩაბეთი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 23 დეკემბრის №7752764 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 16 იანვარს №AR11125264 განცხადებით მომართა ვერიკო ბაბუციძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2025 წლის 23

დეკემბრის №7752764 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 23 დეკემბრის №7752764 ბრძანებით შეთანხმდა, ქ. თბილისში, ლეო კვაჭაძის №19დ-ში მდებარე №72.16.21.439 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (A-12) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2025 წლის 23 დეკემბრის №7752764 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და ბრძანებაში საპროექტო მიწის ნაკვეთის ძველი - №72.16.21.439 საკადასტრო კოდის ნაცვლად, საპროექტო მიწის ნაკვეთის ახალი - №01.72.16.097.087 საკადასტრო კოდის დაფიქსირებას. ამასთან, ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად 312.5 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია – №882026000535, მომზადების თარიღი: 08/01/2026 წ.) თანახმად, დღევანდელი მდგომარეობით, ქ. თბილისში, ლეო კვაჭაძის №19დ-ში მდებარე მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია №01.72.16.097.087 და აღნიშნული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ჯეი4“ (ს/ნ: 405067519). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B26010165, მომზადების თარიღი: 28/01/2026 წ.) თანახმად, შპს „ჯეი4“-ს ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს დავით საგანელიძე (პ/ნ: 01024006858). ხოლო, მის მიერ 2026 წლის 31 დეკემბერს გაცემული მინდობილობით დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი და შეთანხმებული დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით, ქ. თბილისში, ლეო კვაჭაძის №19დ-ში მდებარე მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია №01.72.16.097.087 და არ არის შეცვლილი საპროექტო მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია და ფართობი, შესაძლებელია სამსახურის 2025 წლის 23 დეკემბრის №7752764 ბრძანებაში ცვლილების შეტანა და №72.16.21.439 საკადასტრო კოდის ნაცვლად №01.72.16.097.087 საკადასტრო კოდის დაფიქსირება.
ამასთან, საპროექტო ობიექტისთვის გათვალისწინებულია 24 ღია ავტოსადგომი, საერთო ფართობით 312.5 კვ.მ. შესაბამისად, სამსახურის 2025 წლის 23 დეკემბრის №7752764 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად შესაძლებელია დაფიქსირდეს - 312.5 კვ.მ.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიერ გამოცემულ 2025 წლის 23 დეკემბრის №7752764 ბრძანებაში ცვლილების შეტანას საკადასტრო კოდის მითითებისა და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობის დაფიქსირების ნაწილში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 23 დეკემბრის №7752764 ბრძანებაში და:
1.1. ბრძანების სატიტულო ინფორმაციაში მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ის ველში საკადასტრო კოდის გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
”· საკადასტრო კოდი: №01.72.16.097.087.“.
1.2. ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. შეთანხმდეს: ქ. თბილისში, ლეო კვაჭაძის ქუჩა №19დ-ში მდებარე №01.72.16.097.087 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.“.
1.3. ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 312.5 კვ.მ.
1.4. შეთანხმებული გენ-გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გასწორებული გენ-გეგმით.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 23 დეკემბრის №7752764 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 23 დეკემბრის №7752764 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge